



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



წერილის ნომერი: 31-31222944
თარიღი: 21/10/2022

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილის კარლო წილოსანის 2021 წლის 3 დეკემბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის ანგარიშის წარდგენის

ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

შეხვედრის ადგილი - ჭადრაკის სახლი.

შეხვედრის ჩატარების თარიღი - 20.10. 2022 წელი 13:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის მოადგილე **კარლო წილოსანი**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვერიკო კვიციანი**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე **ციცინო ჩხაიძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის თავმჯდომარე **ია მოქია**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **სპარტაკ კვაჭაძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის“ თავმჯდომარე **კარლო კვიციანი**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის“ თავმჯდომარე **ალექსანდრე მახათაძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნოს ხელმძღვანელი **ნიკოლოზ კოჭანაშვილი**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე**, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნანა წილოსანი** და მოწვეული პირები.

კარლო წილოსანი მიესალმა მოწვეულ სტუმრებს, მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესახებ“ 2014 წლის 24

ივლისის №13 დადგენილების 131-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია ამომრჩეველს ყოველწლიურად წარუდგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მან აღნიშნა რომ, 2020 წლიდან ის არის პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ლანჩხუთის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე, საკრებულოში 2021 წლიდან ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე, ასევე ორი კომისიის „სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ და ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით რეგულარულად ესწრება ღონისძიებებს, კერძოდ: კულტურის სახლში შეხვედრებს ახალგაზრდებს, სადაც გაიმართა ფილმის ჩვენება და დისკუსია;

შუამდგომლობა გარემოს გაუმჯობესებისთვის კონკრეტული ამოცანების შესწავლა;

ადრეული ქორწინების პრევენციასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები. ასევე, შეხვედრა ჰქონდა სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებთან, სადაც ისაუბრეს გენდერულ თანასწორობის საბჭოს გეგმებსა თუ პროექტებზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით გაკეთდა საქველმოქმედო საღამო, სალომე ნარიასვილის დასახმარებლად.

როგორც დეპუტატმა აღნიშნა: „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრებთან ერთად, სენაკში მომხდარი სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეობა მიიღო მოსახლეობის ეზოების, სახლებისა და ქუჩების დასუფთავებასა და შლამისგან გაწმენდაში.“

კარლო წილოსანის განცხადებით ინფრასტრუქტურის კუთხით პრემიერის ინიციატივით მოწესრიგდა:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ცენტრი, ცენტრალური სკვერი, მრავალბინიანი სახლების ფასადი;

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელი ორაგვე, სადაც მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა. დაიგო ასფალტის საფარი, მოეწყო სველი წერტილი. იგეგმება ველო ბილიკისა და „ზიპლაინის“ მოწყობა. უახლოეს მომავალში მოეწყობა პარკირების ადგილები.

ბატონი კარლოს თქმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდა ტურისტული ინფრასტრუქტურა. მოწესრიგდა ელექტროფიცირება, ნავმისადგომი ფიჩორის პირას და მიმდინარეობს გზის რეაბილიტაცია.

მან მადლობა გადაუხადა კოლეგებს მხარდაჭერისთვის, თანადგომისთვის და შემდგომ კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა შეხვედრა.

საჭადრაკო კლუბის ხელმძღვანელმა, **ბატონმა თენგიზ ხუხუნაიშვილმა**, მადლობა გადაუხადა ადგილობრივ ხელისუფლებას ხელშეწყობისთვის. მან ასევე ისაუბრა დაგეგმილ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც გაიმართება ქალაქ ლანჩხუთში და მასში 300-მდე მოჭადრაკე მიიღებს მონაწილეობას, რისთვისაც მერიის მხრიდან საჭიროა ფინანსური მხარდაჭერა.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „ბაღების გაერთიანების“ ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **ნატა კობალავამ** ისაუბრა ბაღებში არსებულ მდგომარეობაზე და გამოწვევებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ იგეგმება ბაღების ავტორიზაცია, ამიტომ საჭიროა რიგ სოფლებში აშენდეს ახალი სტანდარტის შესაბამისი ბაღები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ბატონმა **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მისასალმებელია ახალგაზრდული ფრთის აქტიურობა, სხვადასხვა

საზოგადოებრივ საქმიანობაში და მხარს დაუჭერს მათ ყველა ინიციატივას.

მან ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ნიგვზიანის ბაღი არის ძალიან ცუდ მდგომარეობაში, ბავშვთა კონტიგენტი მაღალია და აუცილებელია ახალი სტანდარტული ბაღის აშენება.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ, ქალბატონმა ვერიკო კვიციანიამ, ისაუბრა გენდერული კუთხით გამოწვევებზე და სამომავლო გეგმებზე. მან აღნიშნა, რომ ხშირი კონტაქტი აქვს ახალგაზრდებთან და მათი ერთ-ერთი თხოვნაა „სკეიდბორდის“ მოედნის მოწყობა. საუბრის ბოლოს, დიდი მადლობა გადაუხადა ბატონ კარლოს, ბევრი კარგი იდეის განხორციელებისთვის.

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ მისასალმებელია ახალგაზრდული ფრთის აქტიურობა, რომელსაც ხელმძღვანელობს ბატონი კარლო და წარმოადგენს ახალგაზრდების ხმას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. მან მადლობა გადაუხადა გამწვანების აქციის ორგანიზებისთვის და გამოთქვა მზაობა ახალი ინიციატივების მხარდაჭერის.

შენხვედრის ბოლოს საკრებულოს წევრმა **კარლო წილოსანმა** მადლობა გადაუხადა მოწვეულ სტუმრებს და აღნიშნა, რომ მისი უფლებამოსილების ფარგლებში მაქსიმუმ გააკეთებს იმისთვის, რომ მოგვარდეს ყველა ის პრობლემა, რომელიც მუნიციპალიტეტის მოსახლეობას აწუხებს, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სოციალური კუთხით, რადგან მომავალი წელი უფრო წარმატებული და ნაყოფიერი იყოს მოსახლეობისთვის.

პატივისცემით,

კარლო წილოსანი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მოადგილე